MES 9 23 0000963885

04/08/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 24 ივლისს 14:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ნინო შუბითიძე - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტის მენეჯერი (კონსულტანტი) (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნინო საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლანა გაჩეჩილაძე

დაწესებულების წარმომადგენელი:

ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლა
ქეთევან ცხვედაძე - დირექტორი
ლალი ალფაიძე - დირექტორის მოადგილე
ელენე მაღლაკელიძე - პროგრამის განმახორციელებელი პირი

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
სოფიო მაჭარაშვილი - რექტორი
ალინა კუპრავა - ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
ილია იაკობაშვილი - ადმინისტრაციული პროცესების სამსახურის უფროსი (საჩხერის განყოფილება)

შპს რუსთავის ფოლადი
რამაზ გაგოშაშვილი - სასწავლო ცენტრის მთავარი სპეციალისტი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტი:
თამარ ახალაძე
ირმა ღარიბაშვილი
დავით გუდაძე
გიორგი ნადირაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14: 08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს, რაზეც გიორგი გამყრელიძემ თანხმობა განაცხადა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლის „ხეხილის სხვლა-ფორმირება“ /01648/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „არგონრკალური შედუღება“ /01667/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ელექტრორკალური შედუღება“ /01668/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს რუსთავის ფოლადის „ხელით ელექტრორკალური შედუღება“ /01474/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს რუსთავის ფოლადის „აირით ჭრა“ /01472/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს რუსთავის ფოლადის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ /01473/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს რუსთავის ფოლადის „ხიდურა ამწის მართვა“ /01475/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. **ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლის „ხეხილის სხვლა-ფორმირება“ /01648/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამის „ხეხილის სხვლა-ფორმირება'' უფლების მოპოვების თაობაზე.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 15 ივნისის №692510 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ხეხილის სხვლა-ფორმირება'' განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 26 ივნისს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლაში.
ვიზიტამდე წინასწარ იქნა შესწავლილი პროფესიული მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ვიზიტის დროს შეფასდა სასწავლო გარემო, პრაქტიკის განხორციელების ადგილი, ჩატარდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გაიცა რეკომენდაცია 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში
ქვესტანდარტი 1.7 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია თეორიული სწავლების დისტანციურ განხორციელებასთან დაკავშირებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინოს დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული/არგუმენტირებული დოკუმენტაცია.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის ხანგრძლივობაა 11 კვირა; სულ - 62 საათი; კვირაში საათობრივი დატვირთვა შეადგენს - 6 საათს. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, თუმცა ობიექტური გარემოებების გათვალიწინებით, შესაძლოა შეიცვალოს საათების კვირეული განაწილება, რაც განხორციელდება მსმენელებთან წინასწარი შეთანხმებით.

დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იქნება ხეხილის ბაღში სეზონურობა და მცენარეთა განვითარების ფენოფაზები. სასწავლო პროცესი დაიგეგმება იმგვარად, რომ ძირითადი პრაქტიკული სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელდეს. თეორიული სწავლება შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დისტანციურად.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას:

1. ხეხილის (თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი) კულტურების დახასიათება;
2. ხეხილის (თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი) ვარჯის სხვლა-ფორმირების წესების გაცნობა;
3. ახალგაზრდა ხეხილის (თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი) ფორმირება;
4. ხეხილის (თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი) გასხვლა.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა ორგანიზაციის განვითარების ისტორია და განაცხადა, რომ 2016 წელს ორგანიზაციამ საგრანტო განაცხადი შეიტანა ისრაელის სალჩოში, მოიპოვა გრანტი, რომლის საშუალებით შეიქმნა სპეციალობა „მეხილესთვის“ სასწავლო-პრაქტიკული ბაზა. 2 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა ხეხილოვანი კულტურების ნაირსახეობა, როგორიცაა ვაშლი, მსხალი, ატამი, ვაშლატამა, ბალი, ალუბალი, ქლიავი, ნუში და სხვა. ბაღი გაშენებულია ახალი ტექნოლოგიებით - წვეთოვანი საირიგაციო სისტემით. 2017 წლიდან ფერმერთა სკოლის საკუთრებაში არსებულ პრაქტიკულ ბაზაზე დაიწყო მეხილეობის მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსის განხორციელება. 2020 წელს ფერმერთა სკოლამ მოიპოვა პროგრამის განხორციელების უფლება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოზე. პროგრამის სეზონურობიდან გამომდინარე, სწავლება განხორციელდა ოთხჯერ, 60 დარეგისტრირებული მსმენელიდან, 41-მა აღნიშნული პროგრამა წარმატებით დაამთავრა და მიიღო სერტიფიკატი დანართთან ერთად. აღნიშნული კურსით დაინტერესება კვლავ დიდია, ამის ერთ-ერთი მიზეზი რეგიონში არსებული მრავალი ხეხილის ბაღია.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, ორგანიზაციაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, შესაბამისად სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარე ნინო ბაბალაშვილი დაინტერესდა თეორიული ნაწილის დისტანციურად განხორციელებასთან დაკავშირებით, აპირებდა თუ არა ორგანიზაცია შემდეგ ეტაპზე, ახალი მიღების მსმენელებისთვის თეორიული კომპონენტის დისტანციურად განხორციელებას და შესაბამისად პროგრამაში ცვლილებების შეტანას, რაზეც ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ წარმოადგინეს დისტანციური სწავლებისთვის ცენტრის მიერ შემუშავებული ფორმა, დასძინა რომ გარკვეული გამოცდილება ამ კუთხით უკვე აქვს ორგანიზაციას, შესაბამისად არ გაუჭირდებათ თეორიული კომპონენტის დისტანციურად განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენელს, ეს ინიციატივა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით მსმენელების სურვილი და საჭიროება იყო თუ არა, რაზეც პროგრამის განმახორციელებელმა პირმა განმარტა, რომ მსმენელების სურვილი იყო თეორიული კომპონენტის სწავლება განხორციელებულიყო დისტანციურად, თუმცა ორგანიზაციას არ ჰქონდა პრობლემა ადგილზე პირისპირ თეორიული კომპონენტის განხორციელებისა, მან დასძინა რომ პროგრამის 1/3 არის თეორიული კომპონენტი, რომელიც დაგეგმილია პროგრამის პირველ კვირებში, თუმცა შესაძლებელია თეორული და პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდეს ინტეგრირებულად. ასევე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გასათვალისწინებელია სეზონურობასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ დისტანციური სწავლების ფორმასთან დაკავშირებით, უკვე დამტკიცებულია ეს ფორმა და საბჭოს აქვს თუ არა უფლებამოსილება გაითვალისწინოს, რაზეც ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ეს საკითხი კარგა ხანია მსჯელობის საგანია, ანუ დისტანციური ან/და ჰიბრიდული სწავლების ფორმა,

საბოლოოდ ცენტრის მიერ იქნა შემუშავებული ეს ფორმა, რომელიც შეთანხმებულია განათლების სამინისტროსთან და პროფესიული უნარების სააგენტოსთან, ამ ფორმის წარდგენა მისცემს საშუალებას ორგანიზაციებს/დაწესებულებებს განახორციელონ წარმოდგენილი პროგრამები ჰიბრიდულად ან/და დისტანციურად, ცენტრი ასეთ შემთხვევაში იტოვებს მონიტორინგის უფლებას და დაწესებულებებს ეძლევა საშუალება განახორციელონ პროგრამები ასეთი სახით. შეთანხმება მიღწეულია და შესაბამისად მომზადებულია ცვლილებების პაკეტი მთავრობის №131 დადგენილებაში და მინისტრის 59/ნ ბრძანებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლის „ხეხილის სხვლა-ფორმირება“ /01648/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 438111106) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხეხილის სხვლა-ფორმირება /01648/ **(დანართი 1).**

2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „არგონრკალური შედუღება“ /01667/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ელექტრორკალური შედუღება“ /01668/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
პრეზენტაცია ორივე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 26 ივნისის №764814 და №764816 ბრძანებების

საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამების „არგონრკალური შედუღება“ და „ელექტრორკალური შედუღება“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 10 და 11 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში , მისამართზე ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

„არგონრკალური შედუღების“ პროფესიული მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება

იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში - რ ეკომენდებულია, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაში „არგონრკალური შედუღება“ დაშვების

წინაპირობად დამატებით განისაზღვროს: ასაკი - 18 წელი; სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა აკადემიის რექტორის ბრძანება

№2/115 07.07.23, ,,შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული მომზადების პროგრამებზე ,,ელექტრორკალური შედურება'' და ,,არგონრკალური შედურება'' დამატებითი დაშვების

წინაპირობის განსაზღვრის შესახებ'' და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სხდომის ოქმი №43, 07.07.2023.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა განხორციელდება დაწესებულების AB გარემოში, სასწავლო გარემო განსაზღვრულია 15 მსმენელზე.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 10, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 15.

პრეზენტაციაში დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

„ელექტრორკალური შედუღების“ პროფესიული მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ანალოგიური რეკომენდაცია 1.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება

იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში - რ ეკომენდებულია, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაში „არგონრკალური შედუღება“ დაშვების

წინაპირობად დამატებით განისაზღვროს: ასაკი - 18 წელი; სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა აკადემიის რექტორის ბრძანება

№2/115 07.07.23, ,,შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული მომზადების პროგრამებზე ,,ელექტრორკალური შედურება'' და ,,არგონრკალური შედურება'' დამატებითი დაშვების
წინაპირობის განსაზღვრის შესახებ'' და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სხდომის ოქმი №43, 07.07.2023.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სწავლება განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე A და C გარემოში. სასწავლო გარემოები აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსით. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია მსმენელთათვის.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 10, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 15.

პრეზენტაციის ბოლოს მან განმარტა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია და დაწესებულებას აქვს ყველა პირობა ამ პროგრამების წარმატებულად განხორციელებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების რექტორმა სოფიო მაჭარაშვილმა განაცხადა, რომ კომენტარი არ ჰქონდა, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის, აჭნიშნული პროგრამების კვალიფიციური შეფასებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „არგონრკალური შედუღება“ /01667/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - არგონრკალური შედუღება /01667/ **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ელექტრორკალური შედუღება“ /01668/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ელექტრორკალური შედუღება /01667/ **(დანართი 3).**

4. შპს რუსთავის ფოლადის „ხელით ელექტრორკალური შედუღება“ /01474/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს რუსთავის ფოლადის „აირით ჭრა“ /01472/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
პრეზენტაცია ორივე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 26 ივნისის №764824 და №764822 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამების „ხელით ელექტრორკალური შედუღება“ და „აირით ჭრა“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2023 წლის 4 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს რუსთავის ფოლადში, მისამართზე ქ. რუსთავი, ი. გაგარინის ქ. №12.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ
და თანამშრომლობით გარემოში.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა „ხელით ელექტრორკალური შედუღების“ პროფესიული მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კომპანიაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში,
ქვესტანდარტი 2.3 - სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე - პროფესიული მომზადების პროგრამის სასწავლო რესურსების ჩამონათვალს დაემატოს სასწავლო სახელმძღვანელოები ,,შემდუღებელი“ (USAID), „დაფარული ელექტროდით ხელით ელექტრორკალური შედუღება“ (ავტორები: ს. იაკობაშვილი და სხვ.), „ელექტროშედუღება“ (ავტორები: ს. იაკობაშვილი და სხვ.) და საერთაშორისო (ISO) სტანდარტები შედუღებაში, რომლებიც კომპანიამ ვიზიტის დროს ადგილზე წარმოადგინა ელექტრონული სახით.

პროფესიული მომზადების პროგრამის განაცხადში, სასწავლო რესურსების ველში მითითებულია ტიპი - „ინტერნეტ რესურსი“, თუმცა წარმოდგენილი სასწავლო რესურსი არის სახელმძღვანელოები, რომელიც ელექტრონული სახით აქვს დაწესებულებას. რეკომენდებულია, რომ პროგრამის სასწავლო რესურსების ველში გასწორდეს ჩანაწერი, და „ინტერნეტ რესურსის ნაცვლად ჩაიწეროს ტიპი - „სასწავლო ლიტერატურა“.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა არის - 10 კვირა, პირველიდან მეცხრე კვირის ჩათვლით საკონტაქტო საათების რაოდენობა არის 20 სთ. მე-10 კვირას - 10 სთ. სულ საათების რაოდენობა - 190 საათი, სწავლება ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში - შპს რუსთავის ფოლადში.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი და ჯანმრთელობის ცნობა ფორმა 100.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 10, მსმენელთა ზღვრული რაოდენოება 10.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროფესიული მომზადების პროგრამის „აირით ჭრა“ დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში,
ქვესტანდარტი 2.3 სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე - პროფესიული მომზადების პროგრამაში მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან (David A. Stephenson., “Mettal Cutting Theory and Practice”., მესამე გამოცემა) ქართულ ენაზე ითარგმნოს თემატიკების შესაბამისი საკითხები. პროფესიული მომზადების პროგრამის განაცხადში, სასწავლო რესურსების ველში მითითებულია ტიპი - „ინტერნეტ რესურსი“, თუმცა წარმოდგენილი სასწავლო რესურსი არის სახელმძღვანელოები, რომელიც ელექტრონული სახით აქვს დაწესებულებას. რეკომენდებულია, რომ პროგრამის სასწავლო რესურსების ველში გასწორდეს ჩანაწერი, და „ინტერნეტ რესურსის ნაცვლად ჩაიწეროს ტიპი - „სასწავლო ლიტერატურა“.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი და ჯანმრთელობის ცნობა ფორმა 100.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეორე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 6 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენოება 10. სწავლება განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში - შპს რუსთავის ფოლადში.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი ქვესტანდარტებით და განმარტა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა, სამივე სტანდარტის ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია, გარდა მესამე სტანდარტის 3.3, 3.5 და 3.6 ქვესტანდარტისა, რომლებიც არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არ არსებობის გამო, ვინაიდან ორგანიზაცია არ ახორციელებდა აქამდე მომზადება/გადამზადების პროგრამებს. მან დასძინა, რომ კომპანიამ წარმოადგინა დოკუმენტია მსმენელთა შერჩევის პროცედურებთან, აპლიკანტების ჩარიცხვასთან და ხარისხის მექანიზმებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რუსთავის ფოლადის „ხელით ელექტრორკალური შედუღება“ /01474/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს რუსთავის ფოლადს (ს/კ: 404411908) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხელით ელექტრორკალური შედუღება /01474/ **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რუსთავის ფოლადის „აირით ჭრა“ /01472/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს რუსთავის ფოლადს (ს/კ: 404411908) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - აირით ჭრა /01472/ **(დანართი 5).**

6. შპს რუსთავის ფოლადის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ /01473/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა დავით გუდაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 26 ივნისის №764823 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა დავით გუდაძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 4 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს რუსთავის ფოლადში, მისამართზე ქ. რუსთავი, ი. გაგარინის ქ. №12.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ

და თანამშრომლობით გარემოში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი პირველ სტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ

1.6 ქვესტანდარტი - აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, თუმცა მე-5 და მე-6 კვირას განსაზღვრული სწავლის შედეგი და თემატიკები შეუსაბამოა ერთმანეთთან, აღნიშნული პროგრამა მიეკუთვნება სფეროს 071-ინჟინერია და საინჟინრო საქმე, რომელიც მოიცავს ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოს შესრულებას, კერძოდ, დაბალი ძაბვა 1000-V-მდე, თუმცა კომპანიის მიერ წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ მე-5 კვირას არის თემატიკაში „მაღალი ძაბვის კაბელების შეერთება სქემის მიხედვით“ (მე-4 სწავლის შედეგი - ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება, ხოლო მე-6 კვირას პროგრამაში ფიქსირდება მე-2 სწავლის შედეგი (ელექტრული სქემების (ბლოკ-სქემისა და პრინციპული სქემის) წაკითხვა) და მე-4 სწავლის შედეგი (ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება). თემატიკაში კი წარმოდგენილია შემდეგი საკითხები

„მაღალი ძაბვის ვაკუმური ამომრთველების მომსახურეობა“;
„მაღალი ძაბვის ქვესადგურების ელ. სქემების წაკითხვა“
„მაღალი ძაბვის ქვესადგურების მომსახურეობა“.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ არსებული სახით წარმოდგენით დარღვეულია არა მხოლოდ 1.6 ქვესტანდარტი, არამედ პირველი სტანდარტის სხვა ქვესტანდარტებიც, კერძოდ

1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა ამ სახით არ შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არის მოკლე ვადიანი და მოიცავს ზოგად ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებს დაბალ ძაბვაზე 1000V-მდე, მსმენელი უნდა აღიჭურვოს მოკლე ვადაში ცოდნა/გაცნობიერებით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით;

1.2 ქვესტანდარტი - პროგრამის სახელწოდება არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და ტოვებს განცდას მაღალი ცოდნის და პრაქტიკული უნარების მოლოდინის;

1.3 ქვესტანდარტი - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, თუმცა რიგ შემთხვევაში თემატიკა სწავლის შედეგებთან აცდენილია;

1.4 ქვესტანდარტი - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგები და თემატიკა ვერ უზრუნველყოფს წინარე წოდნის, უნარების ან/და კომპეტენციის მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადებში;

1.5 ქვესტანდარტი - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს, თუმცა მე-4 და მე-5 კვირის ზემოთ აღნიშნული თემატიკები ცდება მე-3 დონეს და შეესაბამება მე-4 დონეს;

1.7 ქვესტანდარტი - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადექვატური არ არის, ვინაიდან შეიცავს მაღალ ძაბვასთან დაკავშირებულ თემატიკას;
1.9 ქვესტანდარტი - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას, თუმცა მე-5 და მე-6 კვირის თემატიკის გათვალისწინებით აღნიშნულ ვადაში შეუძლებელია სწავლის შედეგების მიღწევა, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა მომზადება/გადამზადება სფერო 071-ინჟინერია და საინჟინრო საქმე, რომელიც მოიცავს ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოს აღწერილობას ცოდნა გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, დაბალი ძაბვა 1000-V დაკავშირებულ სწავლის შედეგებს და თემატიკას, ასევე საქართველოს მთავრობის №340 დადგენილების თანახმად (დადგენილება - „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“; დანართი №1 გვ. 105. „ელექტროენერგეტიკული ორგანიზაციის მუშაკთა საკვალიფიკაციო მოწმობა“; დანართი №2 გვ. 106 ელექტროტექნიკური (ელექტროტექნოლოგიური) პერსონალის ელექტროუსაფრთხოების ჯგუფები”; გვ.109 მოთხოვნები პერსონალის მიმართ. 2013 წლის 17 დეკემბერი). ენერგეტიკის დარგში არსებული შრომის უსაფრთხოების კანონით და რეგულაციებით იკრძალება პრაქტიკანტების დაშვება მაღალი ძაბვის დენგამტარ ნაწილების სარემონტო სამუშაოებზე/მონაწილეობის მიღება უშუალოდ ჩართულობა. მსმენელმა უნდა დააგროვოს ელ. დანადგარებში მუშაობის მინიმალური სტაჟი, თვე დამკვირებლად დანართი №2 გვ. 106.

შესაბამისად, მეხუთე და მეექვსე სასწავლო კვირაში ამოღებული იქნას მაღალი ძაბვის თემატიკა და ჩასწორდეს სტანდარტთან შესაბამისობაში.
ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აღნიშნულ მოკლე ვადაში, წარმოდგენილი სწავლის შედეგებით და თემატიკით, შეუძლებელია მსმენელის მომზადება, ვინაიდან პროგრამა მესამე დონისაა, სახელწოდება და მიზანი არის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ დაბალი ძაბვის - 1000-V-მდე ფარგლებში, არ უნდა იყოს მაღალ ძაბვასთან დაკავშირებული საკითხები.
ვიზიტის დროს რეკომენდაციები არ გაცემულა.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

დარგის ექსპერტმა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით. განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულება, ხელშეკრულება ხელმოწერილია დაწესებულების დირექტორის მიერ და დამოწმებულია ბეჭდით, დათარიღებულია 2023 წლის 20 აპრილით. ხელშეკრულება ძალაშია პროგრამის განხორციელების ვადით, პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შემდეგ და აისახება განმახორციელებელთან გაფორმებულ ძირითად შრომით ხელშეკრულებაში. ამდენად პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე იურიდიულ პირს აქვს 10 მსმენელის მომზადების რესურსი, რაც გულისხმობს მსმენელებისა და განმახორციელებელი პირის შესაბამისი სასწავლო გარემოთი უზრუნველყოფას.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ვინაიდან ეს პროგრამაც შპს რუსთავის ფოლადის მიერ არის წარმოდგენილი, შესაბამისად მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა ანალოგიურად და არ გამეორდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა განაცხადა, რომ ვინაიდან პირველი სტანდარტის ფარგლებში 7 ქვესტანდარტი დახარვეზებულია, ამ ეტაპზე საბჭოს მოსაზრებით აღნიშნულ პროგრამას უნდა მიეცეს ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, რასაც დაეთანხმა კომპანიის წარმომამდგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რუსთავის ფოლადის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ /01473/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს რუსთავის ფოლადს (ს/კ: 404411908) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ელექტრული მონტაჟი და მომსახურება /01473/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

7. შპს რუსთავის ფოლადის „ხიდურა ამწის მართვა“ /01475/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა გიორგი ნადირაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 26 ივნისის №764821 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა გიორგი ნადირაშვილმა შეისწავლეს

პროფესიული მომზადების პროგრამის „ხიდურა ამწის მართვა“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 4 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს რუსთავის ფოლადში, მისამართზე ქ. რუსთავი, ი. გაგარინის ქ. №12.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ
და თანამშრომლობით გარემოში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია პირველ და მეორე სტანდარტთან მიმართებაში
ქვესტანდარტი 1.2 - რეკომენდებულია მე-2 კვირის პროგრამის თემატიკაში საკითხი „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და რეგულაციების დაცვა“ დაკონკრეტდეს ასეთი სახით „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის, 2013 წლის 31 დეკემბრის №429 რეგლამენტის მოთხოვნების დაცვა“.
ქვესტანდარტი 1.2 - რეკომენდებულია ჩასწორდეს პროგრამის თემატიკაში ტექნიკური უზუსტობები, კერძოდ მე-3 კვირას ამწეების სახეობებს შორის მითითებულია „პორტატული“, უნდა იყოს „პორტალური“, მე-5 კვირას თემატიკაში ტვირთამწე აღჭურვილობების მუშაობის რეჟიმები არის ასეთი ჩანაწერი „კუთხური (მრავალფეხიანი) აწევა“, უნდა იყოს „კუთხური (მრავალსაფეხურიანი) აწევა“.
ქვესტანდარი 1.8 - რეკომენდებულია კომპანიამ პროგრამის განხორციელების პროცესში მსმენელებს აჩვენოს მეტი ვიდეო მასალა, ამწეებით მუშაობისას მომხდარი ავარიების, ტვირთის ჩაბმის წესების დარღვევის, მათი შედეგების ანალიზით და დისკუსიის გამართვით.
ქვესტანდარტი 2.1 - რეკომენდებულია პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით თეორიული კომპონენტის ნაწილში დაემატოს მინიმუმ ერთი განმახორციელებელი პირი.
ქვესტანდარტი 2.2 - ვინაიდან მსმენელის პირველი შეხება ხიდური ამწის კონსტრუქციასთან არ შეიძლება ხდებოდეს მილსაგლინავ ან სხვა ცხელ საამქროში მოქმედ, გაშავებულ და გაჭვარტლულ ამწეზე, სასურველია ეს მოხდეს შესაბამის ფიზიკურ ტრენაჟორზე. კომპანიის პირობებში ეს შესაძლებელია განხორციელებულ იქნეს ელექტრომექანიკური საამქროს ნათელ შენობაში 5 ტონა ტვირთამწეობის, 6 მეტრი მალის მქონე ხიდურა ამწეზე.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 9 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 10, როგორც აღინიშნა პროგრამა განხორციელდება შპს რუსთავის ფოლადში, რეალურ სამუშაო გარემოში. აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, ასალი - 18 წელი და ჯანმრთელობის ცნობა ფორმა 100. აპლიკანტები გაივლიან გასაუბრებას რუსთავის ფოლადში.
აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა/გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვული განვითრების პერსპექტივებს, დაწესებულებას ელ. სისტემაში ატვირთული აქვს დოკუმენტი - პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, ასევე 2020 წლის კვლევა უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის შესახებ.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ბმაშია პროგრამის შინაარსთან. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, პროგრამის განმახორციელებელ

პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროგრამის შინაარსი უკავშირდება პროფესიულ მომზადებას. პროგრამის მოცულობა შეადგენს 225 სთ, რომელიც ხორციელდება 9 კვირის განმავლობაში (კვირაში - 25 სთ).

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, განმახორციელებელს ს აქვს თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი სასწავლო აუდიტორია - A გარემო, რომელიც აღჭურვილია 10 მსმენელისთვის განკუთვნილი მაგიდით, სკამით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, მასწავლებლისათვის განკუთვნილი ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით და დემონსტრირების საშუალებით - პროექტორით. ასევე C - გარემო - მეტალურგიული ქარხნის საამქროებში გამოყოფილი აქვს 10 ერთეული სხვადასხვა ტვირთამწეობისა და აღჭურვილობის მქონე ხიდური ამწე.

აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 5 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამის თეორიული ნაწილის განხორციელებაში ჩართული იქნება ერთი განმახორციელებელი პირი, ხოლო დანარჩენი ოთხი განმახორციელებელი პირი ჩაერთვება პროგრამის განხორციელების პროცესში საჭიროების მიხედვით.

რაც შეეხება მეორე და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ვინაიდან ეს პროგრამაც არის შპს რუსთავის ფოლადის მიერ წარმოდგენილი ეს ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ვინაიდან ეს პროგრამაც შპს რუსთავის ფოლადის მიერ არის წარმოდგენილი, შესაბამისად მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა ანალოგიურად და მხოლოდ ის ქვესტანდარტები განიხილა, რომელიც განსხვავებულად შეფასდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რუსთავის ფოლადის „ხიდურა ამწის მართვა“ /01475/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს რუსთავის ფოლადს (ს/კ: 404411908) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა ხიდურა ამწის მართვა /01475/ **(დანართი 6).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:02 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01648	ხეხილის სხვლა-ფორმირება (1,2)	პროფესიული მომზადება	მესამე	11	ქართული	30	საგარეჯოს რაიონი, სოფ. ნინოწმინდა

- (1) აღნიშნავს პროგრამას, რომელიც ხორციელდება პირისპირ სწავლების ფორმით

- (2) აღნიშნავს პროგრამას, რომელიც ხორციელდება დისტანციური სწავლების ფორმით

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01667	არგონრკალური შედუღება	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	15	ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01668	ელექტრორკალური შედუღება	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	15	ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01474	ხელით ელექტრორკალური შედუღება	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	10	ქ. რუსთავი, ი. გაგარინის ქ. №12

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01472	აირით ჭრა	პროფესიული მომზადება	მეორე	6	ქართული	10	ქ. რუსთავი, ი. გაგარინის ქ. №12

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01475	ხიდურა ამწის მართვა	პროფესიული მომზადება	მესამე	9	ქართული	10	ქ. რუსთავი, ი. გაგარინის ქ. №12